ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6585546

ნომერი: AR1980865

თარიღი : 26.07.2023

გაცემის თარიღი : 27.07.2023

გაცნობის თარიღი : 27.07.2023

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ.თბილისი, ვარკეთილის III მ/რ, კორპუსი N304-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა მაისურაძე პ/ნ 01027005749
- თბილისი ი.მოსაშვილის ქ. N 1 ბ. 80

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 26 ივლისს №AR1980865 განცხადებით მომართა ზაზა მაისურაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის №6202142 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის №6202142 ბრძანებით №01.19.39.026.030 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 01 დეკემბრის №6230209 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 01 დეკემბრიდან 2024 წლის 01 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2023 წლის 02 თებერვლის №6310772 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2022 წლის 01 დეკემბრის №6230209 ბრძანებაში, მშენებლობის ვადის ნაწილში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 02 თებერვლიდან 2025 წლის 02 თებერვლის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებელი განმარტავს, რომ სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის №6202142 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 2131.1 კვ.-ის ნაცვლად უნდა იყოს 2123.8 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 648.7 კვ.მ-ის ნაცვლად 647.6 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 588.2 კვ.მ-ის ნაცვლად 340.5 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის №6202142 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმებზე დატანილი საცხოვრებელი, საზაფხულო და ავტოსადგომის ჯამური ფართობები და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირებული ამავე ფუნქციის ფართობები ერთმანეთთან შესაბამისია (მათ შორის, არქიტექტურული გეგმების ექსპლიკაციაზე დატანილ ფართობებთან). შესაბამისად, სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის №6202142 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში აღნიშნულ ფართობებთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომა არ ფიქსირდება. ამასთან, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობები დატანილია სწორად (შეთანხმებული „გეგმების pdf ფაილის“ ველში ატვირთული გეგმების 1-8 გვერდები).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის №6202142 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობები დატანილია სწორად და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ფართობები დაფიქსირებულია აღნიშნული ფართობების შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2022 წლის 10 ნოემბრის №6202142 ბრძანებაში აღნიშნულ ფართობებთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.